დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990198306503620

საქართველო, 1800, ქ.დუშეთი, რუსთაველის ქ. № 27 +995(346)221989
www.dusheti.gov.ge
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA +995(346)221987 info@dusheti.gov.ge

№ **07/3173** **20 / თებერვალი / 2020 წ.**

ი/მ "ნიკა გოდიშვილს"

ბატონო ნიკა,

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და თქვენ შორის 2019 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N626 ხელშეკრულება (CMR200000786), რომლითაც განსაზღვრულია: დუშეთის მუნიციპალიტეტში, ჭოპორტის ა/ე, სოფელ ქვემო ღარისწყალას წყლის სათავე ნაგებობების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, რომლის მიწოდების ვადად განისაზღვრება 2020 წლის 29 იანვრის ჩათვლით, ხოლო მოქმედების ვადაა 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით. გაცნობებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით (N1394/ს 28.06.2018წ.) ზედამხედველობის გაწევაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ შემოწმებული იქნა აღნიშნული სამუშაოები და გაწვდით ინფორმაციას, რომ ი/მ „ნიკა გოდიშვილს“ ზემოთხსენებულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოები არ დაუწყია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ N626 ხელშეკრულების (CMR200000786). მე-12 მუხლის 1 პუნქტის თანახმად ხელშეკრულებით ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად (გარდა მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულებისთვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1%, ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულებების დაუყობნებლივ გამოსწორება. მე-2 პუნქტით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. მე-3 პუნქტით, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი